სსიპ - ქალაქ თბილისის
№128 საჯარო სკოლა

0186 ქ. თბილისი, თოფურიის ქ. 12
ტელ: 232 82 60, 232 83 60

LEPL TBILISI
PUBLIC SCHOOL №128

0186 Tbilisi, Tofuria str. 12
Tel.: 232 82 60, 232 83 60

09/12/2025

MES 3 25 0001751250

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავმჯდომარეს, ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის 2025 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული „ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის 2017 წლის 5 დეკემბრის №1/კ-180 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი - ნანა ადამაშვილი.

ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე სკოლაში განცხადება არ შემოსულა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ შემოსულა.

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნა არ ყოფილა, შესაბამისად არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე შემოვიდა 1 (ერთი) მოთხოვნა.

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში არ ყოფილა შეტანილი და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.

სსიპ - ქალაქ თბილისის N128 საჯარო სკოლის 2025 წლის წლიურ ანგარიშს აგრეთვე წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებული	0 (ნული)
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	1 (ერთი)
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0 (ნული)
ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0 (ნული)

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი
საჯარო სკოლები
ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლა
დირექტორი
ხორბალაძე გულნაზი